ნოდარ დუმბაძის რომანის „ნუ გეშინია, დედა“ სათაურის სემანტიკა

ნატალია გულუა
ფილოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: natalia.gulua@atsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0001-4463-9995

აბსტრაქტი. ნოდარ დუმბაძის რომანს „ნუ გეშინია დედა“ მოვიაზრებთ ანტისაბჭოთა დისკურსის ნაწილად, მასში აშკარად გამოვლენილი ანტისაბჭოთა რიტორიკის, კულტურული იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლის გამო. ის წარმოადგენს თავისი ეპოქის სოციოკულტურული მდგომარეობის პასუხს; გამოხატავს მწერლის სუბიექტურ პოზიციას XX საუკუნის 60–იან წლებში საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებზე.

ნაშრომში განვიხილავთ რომანის მხატვრულ მხარეს, იმ საშუალებებს, რომლებიც ავტორმა გამოიყენა თავისი მთავარი სათქმელის გასაშუქებლად, კერძოდ, გავიაზრებთ ნაწარმოების სათაურს, როგორც მხატვრული პირობითობის ერთ-ერთ გამოვლინებას, მის როლს მხატვრული ჩანაფიქრის რეალიზაციისას, იდეური შინაარსისა და სახეობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში; განვსაზღვრავთ მის ესთეტიკურ ფუნქციას ნაწარმოების შინაარსთან კავშირში.

სათაურის დეკოდირება ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამ კვლევის შედეგად იკვეთება, როგორ მუშაობდა ავტორი ტექსტზე და განისაზღვრება მწერლისეული სტილის ორიგინალობის ხარისხი. ანალიზის დროს ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ სიმბოლოებსა და სააქცენტო სიტყვებზე, ასევე, მათ მნიშვნელობებზე, როგორიცაა: რიცხვი 13; „ახალი ღმერთი“; სატანისეული დამღა–ნიშნები; მზის სიმბოლო ჯვარი; მამალი როგორც ზეციური ცეცხლის – მზის – ზოომორფული ტრანსფორმაცია და განთიადის, სულიერი განახლების სიმბოლო; „პარიზის კომუნა“ როგორც სახელმწიფოებრივი პროპაგანდის მნიშვნელოვანი სიმბოლო. გარდა ამისა, მოვიხმობთ ტექსტთან ასოცირებულ იგავებსა და გამონთქვამებს ბიბლიიდან. ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ სათაური, თავისი ძლიერი პოზიციის წყალობით, მხატვრული ტექსტის მაორგანიზებელი ცენტრია, მისი კომპოზიციური დომინანტია.

ტექსტის სიღრმისეული გააზრების შედეგად გახდა ცნობილი, როგორ შეივსო სათაური კონცეპტუალური მნიშვნელობით. „ნუ გეშინია, დედა“ – რომანის ბოლოს ამ სიტყვებით არა მარტო მთავარი გმირი მიმართავს დედის სახებას, არამედ ავტორი გვანუგეშებს, რომ დამთავრდა წყვდიადის ჟამი, დადგა სინათლის, მზის, უფლის სუფევის ხანა, რომ ქვეყანაში იზრდება და ყალიბდება ღირსეული თაობა, დგება განთიადი. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გახლდათ რომანის სათაურში კოდირებული ავტორის მთავარი სათქმელი.

საკვანძო სიტყვები: ანტისაბჭოთა დისკურსი; სათაური; დეკოდირება; სიმბოლო.

* * *

შესავალი. ნოდარ დუმბაძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მის რომანს „ნუ გეშინია დედა“ მოვიაზრებთ ანტისაბჭოთა დისკურსის ნაწილად, მასში აშკარად გამოვლენილი ანტისაბჭოთა რიტორიკის, კულტურული იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლის გამო. მიგვაჩნია, რომ ეს რომანი წარმოადგენს მწერლისდროინდელი ეპოქის სოციო-კულტურული მდგომარეობის პასუხს; გამოხატავს ავტორის სუბიექტურ პოზიციას XX საუკუნის 60–იან წლებში საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებზე.

მიუხედავად მკვლევართა დიდი ინტერესისა მწერლის შემოქმედების მიმართ, ნ. დუმბაძის მხატვრული ოსტატობის საკითხები, დეიდეოლოგიზებული მიდგომით, ჯერ კიდევ არ ქცეულა სპეციალური ანალიზის საგნად, რის გამოც სრულად არ არის გამოვლენილი მწერლის მხატვრული სისტემის თავისებურებები, გამომსახველობით საშუალებათა მდიდარი არსენალი. ნაშრომის აქტუალობად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ნ. დუმბაძის შემოქმედების ამ მიმართულებით შესწავლაში.

ნაშრომში განვიხილავთ ნ. დუმბაძის რომანის „ნუ გეშინია დედა“ მხატვრულ მხარეს, კერძოდ ნაწარმოების სათაურს, როგორც მხატვრული პირობითობის ერთ-ერთ გამოვლინებას, მის როლს მწერლის ჩანაფიქრის რეალიზაციისას, იდეური შინაარსისა და სახეობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში; განვსაზღვრავთ მის ესთეტიკურ ფუნქციას ნაწარმოების შინაარსთან კავშირში.

ნაწარმოების სათაური ტექსტის ძლიერი პოზიციაა, რომელსაც გააჩნია ფიქსირებული მდგომარეობა, სემანტიკური და სემიოტიკური თვისებები. მას არსებითად ორი დატვირთვა აქვს. ერთ შემთხვევაში მისი ამოცანაა, ნაწარმოების როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, აქცენტირება. მეორე შემთხვევაში, სათაური კომპოზიციური ელემენტია, თავისებური გასაღები, რომელმაც უნდა გაგვიადვილოს შემოქმედების ლაბირინთში შესვლა. მას ევალება ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ ავტორის პოზიციაზე, ჟანრის თავისთავადობაზე მინიშნება, ამასთანავე აუდიტორიის დაინტერესება-მიზიდვა (ტალიაშვილი 2012).

კვლევის მეთოდები. გაანალიზებულმა მასალამ რომ მართებული შეხედულებების გამოტანის საშუალება მოგვცეს, ვიყენებთ კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს, კერძოდ რეცეფციული პოეტიკის და მხატვრული ტექსტის სტრუქტურულ-სემიოტიკურ ანალიზს.

მსჯელობა. რომანის „ნუ გეშინია, დედა“ სათაურში ჩადებულია კონკრეტული აზრი, ის აჩენს გარკვეულ მოლოდინს. ჩარჩო-სათაურის „ნუ გეშინია დედა“ ლინგვისტური მნიშვნელობა გამოიხატება სიტყვათა შეთანხმებაში და სემანტიკური თვალსაზრისით განიხილება როგორც პირველი ტექსტური ნიშანი. ის გვიჩვენებს ავტორის ღია პოზიციას, მის დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისა და ნაწარმოებში ასახული მოვლენების მიმართ. აქედან გამომდინარე, სათაურის დეკოდირება აჩვენებს, როგორ მუშაობდა ავტორი ტექსტზე, სტრუქტურის აგების პროცესს, განსაზღვრავს მწერლის სტილის ორიგინალობის ხარისხს. სათაურს განვიხილავთ როგორც ძირითადი ტექსტის წინ მდებარე შეკუმშულ ტექსტს და მისი ინტერპრეტაცია საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ავტორის ჩანაფიქრი და მიზანდასახულობა.

დედის ფუნქცია და **შიშის** ფაქტორი განმსაზღვრელი საკითხებია რომანში. მათი ფუნქციის გარკვევის გარეშე შეუძლებელი იქნება ავტორის მთავარი სათქმელის გამოკვეთა. შიში, რომანის მიხედვით, ბუნებრივი, ადამიანური გრძნობაა; შიში ის ემოციაა, რომელიც უნდა განიცადოს უფლისკენ მიმავალ გზაზე ადამიანმა. სწორედ შიში განასხვავებს ადამიანს პირუტყვისაგან. რომანში მრავალჯერაა ამ ფაქტზე ხაზი გასმული. ფრაზის პირველი ნაწილი - „ნუ გეშინია” ამავე დროს გამოხმაურებაა ბიბლიური ფრაზის: „ნუ, გეშინია, რადგან, მე შენთანა ვარ, ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ მე. გაგამაგრებ და შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმართლის მარჯვენით“ (ესაია 41: 10) და იმედის მიცემას გამოხატავს. მართალია, რომანში ამ ფრაზის მხოლოდ დასაწყისი „ნუ გეში-

ნია“ არის აქცენტირებული, მაგრამ ტექსტის მთლიანი გააზრება გვაფიქრებინება ზემოხსენებული ბიბლიური ფრაზის რომანში ქვეტექსტურ დონეზე არსებობას. იმ წლებში, როცა რომანი იქმნებოდა, ბიბლიური ფრაზების მოხმობა და აქცენტირება, მით უმეტეს სიუჟეტის მამოძრავებელ ღერძად გამოყენება, შეუძლებელი იყო. არადა, საბჭოთა დიქტატურის პირობებში უფლის სიტყვა, ნუგეში, იმედი ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ ადამიანებს, არა მარტო უმწეოებს, ახალი წყობის მიერ ნებაწართმეულებს, არამედ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის - ისიდორეს - მსგავს მოტყუებულებსა და ცდუნებულებს, მრავალი ცოდვის ჩამდენებს უფლისა და კაცობრიობის წინაშე. რომანის სულისკვეთება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა პასუხი უნდა აგოს თავის ცოდვებზე, მოინანიოს, განიწმინდოს, განიცადოს სულიერი კათარზისი, თაობიდან თაობას გადასცეს სიყვარული – უფლის, ადამიანის, სამშობლოს და ა. შ. იმისათვის, რომ შიშის, როგორც პერსონაჟების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორის ფუნქცია ავხსნათ, საჭიროდ მიგვაჩნია გავყვეთ რომანის სიუჟეტურ ხაზს.

ნაწარმოების ქრონოტოპი მნიშვნელოვანი საკითხია. მისი მოცულობა დაახლოებით 50-60 წელია, ანუ ნახევარი საუკუნე, სამი თაობის აქტიური ცხოვრების დრო-სივრცე, რომელიც ემთხვევა ქვეყნისათვის ურთულეს წლებს, დიდი ცვლილებების ეპოქას.

რომანში ნაჩვენებ სამ თაობაში ვგულისხმობთ ისიდორე, გაბრიელ და ავთანდილ ჯაყელებს, რომელთაც თავთავიანთი ცხოვრებისეული დრო-სივრცე გააჩნიათ. მათ განსხვავებულ ეპოქებში უწევთ ცხოვრება, განსხვავებული მისწრაფებებით, მსოფლმხედველობით, იდეალებით, თავისთავადი ხასიათებით. მიუხედავად მჭიდრო ნათესაური კავშირისა, მათ შორის განსხვავება მეტია, თუმცა არის მსგავსი შტრიხებიც. მათ ცხოვრებაზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იცვლებოდა ნახევარი საუკუნის მანძილზე ადამიანების მსოფლმხედველობა ეპოქალური ცვლილებების პარალელურად და გავარკვიოთ, მათმა სულიერებამ დეგრადაცია განიცადა თუ პროგრესი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ისიდორე ჯაყელი

ისიდორე ჯაყელის ამბით იწყება რომანში თხრობა და ამ დროს გასული საუკუნის 21-ე წელია და ისიდორეც 21 წლისაა, ანუ საუკუნის ასაკის. ის დროის მსხვერპლია, რადგან ყოფილი თავადი კომკავშირში შედის და ამით ემიჯნება ოჯახს, წარსულ ცხოვრებას. ამიერიდან მისი ცხოვრების ათვლა სწორედ 21 წლის ასაკიდან იწყება. ისიდორე კომკავშირში შესვლით ახალი დროის ადამიანი ხდება და საკუთარ ოჯახს, წინაპრებს, ზოგადად წარმომავლობას უპირისპირდება – მტრის ბანაკში გადადის. აქედან იწყება მისი (ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის), ტრაგედია. ისიდორე ფესვებს მოწყვეტილი ადამიანია, იგივე „უძღები შვილია“. „უძღები შვილის” იგავში მდიდარი მამის უმცროსმა შვილმა ცალკე ცხოვრება მოინდომა, წაიღო თავისი წილი ქონება და მალევე გაანიავა. დადარდიანებული და შერცხვენილი მობრუნდა მამასთან პატიების სათხოვნელად. ის ისე მიიღო მშობელმა, როგორც უფალი ღებულობს და პატიობს თავის შვილებს შეცდომებს. ამგვარადვე ვითარდება მოვლენები რომანშიც.

ისიდორე გამორჩეული პიროვნებაა კომკავშირლებში, ძლიერია, მტკიცეა გადაწყვეტილებების მიღებისას, ურყევად სწამს ერთხელ არჩეული გზის. ის ასეთია მანამ, სანამ მთავარანგელგოზის ეკლესიის გუმბათიდან ჯვარს არ მოხსნის და გადმოაგდებს. ამ ფაქტის შემდეგ მისი ცხოვრება რადიკალურად იცვლება. მის მიმართ დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია: ურწმუნო კომუნისტების თვალში ის გმირი ხდება, მორწმუნე თანასოფლელებში - წყევლის ობიექტი: „მიქელ გაბრიელო, შენ დაატეხე შენი რისხვა შენს წამბილწველ და გამათახსირებელს!“ - ასე წყევლიან ჯვრის ჩამომგდებ ისიდორეს მიწაზე დამხობილი ქალები.

ჯვრის ჩამოსაგდებად ისიდორემ დიდი განსაცდელი გამოიარა. ის 8 საჟენი სიმაღლეზე ავიდა და ჯაჭვის 13 რგოლიც აიარა. 13 უარყოფით რიცხვად არის მიჩნეული ყოფიერებაში. თუმცა, რელი-

გიურად და შორეული ტრადიციის მიხედვითაც ის ღვთიურობას გამოხატავს, უკვდავების, ძლიერების ნიშანია. ქრისტე მე-13 მონაწილე იყო საიდუმლო სერობისას. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, რიცხვი 13 სამყაროს აღნიშნავს. ამგვარად, რომანის მიხედვით, ჯვართან მისვლამდე ისიდორემ 13 ჯაჭვის მარჭვალი უნდა აიაროს, 13 საფეხურით უნდა ამაღლდეს, რომ ღმერთს (ჯვარს) მიუახლოვდეს.

ისიდორეს სიმაღლეზე ასვლას სხვადასხვაგვარი გაგება აქვს ტექსტში: თანამებრძოლების თვალში გუმბათზე ასული ისიდორე კიდევ უფრო ამაღლდება, რიგითი თანასოფლელების და მკითხველის თვალში კი - პირიქით. აღსანიშნავია, რომისიდორეს მიმართ მკითხველის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი განსხვავებული იდეოლოგია კი არ არის, არამედ თავად ავტორის პოზიციაა. ავტორი, რომელიც, ისე გვიყვება ამბავს, თითქოს თანაუგრძნობდეს ისიდორეს და მის დამქაშებს, ამავე დროს, გვიჩვენებს იმ მძიმე შედეგებს, რაც ჯვრის ჩამოგდებას მოჰყვება შედეგად პირადად ისიდორესთვის. ის რომ პერსონაჟის ღრანჯმოქცეულობაზე ოდნავი ირონიითა და, შეიძლება ითქვას, თანაგრძნობის გარეშე საუბრობს, იმაზე მეტყველებს, რომ ავტორის აზრით, ისიდორე სამართლიანად დაისაჯა. თუ სიმაღლე ტრადიციულად ასოცირდება მთასთან, ზეცასთან, და მასზე ასვლა ამაღლებასა და განწმენდას უკავშირდება, ამ შემთხვევაში სიმაღლეზე ასვლა რწმენის, სიწმინდის წაბილწვაა.

ქართულ მწერლობაში ანალოგიური მოვლენები საძებარი არაა. მაგ;. გრიგოლ რობაქიძია რომანში „ჩაკლული სული“ მოთხრობილია კომკავშირლები როგორ შეცვივდნენ საყდარში და ხატზე მიიტანეს იერიში: „ერთმა დაამხო წმინდანის ხატი და ცოფისგან დაბრმავებული ფეხით ზედ შედგა. „აბა, დამსაჯოს თქვენმა ყოვლისშემძლე ხატმა!“ სახეში მიახალა უძრავად მიშტერებულ მდუმარე გლეხებს. ერთმა მოხუცმა გლეხმა დაარღვია სიჩუმე, წყნარად მიუგო: „მეტი რა გიყოს? უკვე გაუგიჟებიხარ და ეგ არი“ (რობაქიძე, 1990: 11).

ისიდორეს მსვლელობა გუმბათზე ჯვრის მიმართულებით, მიუხედავად დრამატულობისა, ირონიის ფონზე აქვს მოთხრობილი მწერალს და წარმოგვიდგენს მას, როგორც ღმერთთან შებრძოლების უსუსურ მცდელობას. ისიდორეს მიმართვა და ერთგვარი მუქარა მიქელგაბრიელისადმი და „ახალი ღმერთის“ საშველად მოხმობა ცოტათი მაინც ამსუბუქებს თხრობას და ნიღბავს ავტორის ზრახვას: გვიჩვენოს პირსისხლიანი, უღმერთო კომუნისტების ჭეშმარიტი სახე. „შენ მიშველე ჩემო ახალო ღმერთო“, – ვის მიმართავს ისიდორე ამ სიტყვებით, ვინ ან რა იგულისხმება „ახალ ღმერთში“, ჭეშმარიტ ღმერთს რომ უნდა დაუპირისპირდეს? ამაზე ღიად პასუხს ისიდორეს ღრანჯის მოქცევა იძლევა. ღრანჭმოქცეულობა ნიშანია, ერთგვარი დამღაა, რომელსაც ადამიანი ვერ მოიშორებს. ეს იმის ნიშანია, რომ მან ღმერთი უარყო და ეშმაკს მიჰყიდა სული. სხეულზე ამგვარი ნიშნები სატანასთან თანაზიარობის ნიშნებადაა მიჩნეული. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სატანა თავის მოკავშირეებს დაღს ადებს და ამგვარად გამოხატავს მათზე ძალაუფლებას.

ჯვარი მზის სიმბოლოა, მზე კი, რომანის მიხედვით, ღმერთია. ჯვრის ჩამოგდების შემდეგ ისიდორე არა მარტო სახენაცვალი გვევლინება, არამედ სახელნაცვალიც: „ისიდორე ჯაყელი არ მქვია მე, ისიდორე ღრანჯიანი მქვია!“ მიმართავს მინაგო ჯაბუას, რითაც ხაზს უსვამს მისი პიროვნების სხვა სტადიაში გადასვლის ფაქტს. ღრანჯიანობა მარტო ფიზიკური ნაკლი კი არაა, არამედ სულიერი დამღაც, ჩადენილმა უმსგავსო საქციელმა რომ გამოიწვია.

ისიდორე ჯაყელს ჰყავს თავისი ოპოზიციური მეწყვილე ნაწარმოებში მინაგო ჯაბუას სახით. როგორც წესი, უარყოფით პერსონაჟს მოწინააღმდეგედ დადებითი პერსონაჟი უნდა ჰყავდეს, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, მინაგო ჯაბუაც ურწმუნო და ურჯულოა: „მიქელგაბრიელის საყდარში საკურთხეველზე დაგკლავ ღორივით“, – ამ სიტყვებით ემუქრება ის ისიდორეს. აშკარაა, რომ ორივე მხარის ბრძოლის მეთოდები ამორალურია, რაც მიგვანიშნებს ასევე ეპოქის ამორალურობაზეც,

ეპოქისა, სადაც ძნელი საპოვნელია მორალი და ზნეობრივი კოდექსით არავინ ხელმძღვანელობს: არც კომუნისტ-კომკავშირლები და არც მენშევიკების წარმომადგენელი.

ისიდორეს მიერ მთავარანგელოზის ეკლესიის გუმბათიდან ჯვრის ჩამოგდებამ ორი დიდი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში. ერთი თვალნათლივ ჩანს და ეს ღრანჯმოქცეულობაა, ხოლო მეორე, და უფრო მნიშვნელოვანი, მის მსოფლმხედველობრივ სფეროს ეხება. მართალია, ნაწარმოებში აშკარად არ იკვეთება, რომ ისიდორემ ამ შემთხვევის შემდეგ მრწამსი რადიკალურად შეიცვალა, ის ისევ ბოლშევიკების სამსახურში დგას და იმავე პრინციპებს მისდევს, მაგრამ თავის ერთადერთ ვაჟს **გაბრიელს** არქმევს - ბიბლიურ სახელს, იმ ანგელოზის სახელს, რომლის სახელობის ეკლესია მან ასე უგუნურად შეურაცხყო. სწორედ ეს ფაქტი გვაფიქრებინებს იმ ძირეულ ცვლილებებზე, იმ სინანულზე, უფლის წინაშე შიშზე, რასაც ისიდორე უეჭველად განიცდიდა. ავტორმა სწორედ ისიდირეს შვილისათვის გაბრიელის სახელის დარქმევით გამოხატა თავისი პოზიცია ეკლესიის დამანგრეველი, უფლის შეურაცხმყოფელი ბოლშევიკების მიმართ.

თუმცა ეს არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რამაც რწმენა შეურყია ისიდორეს და ჩადენილ ქმედებებზე დააფიქრა. მის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დგება მაშინ, როცა მინაგო დაიჭერს და ისიდორეს სიკვდილი გარდაუვალი ხდება. ისიდორე აღარ უხმობს თავის „ახალ ღმერთს“, ის მზეს უყურებს: „ახლად ამოწვერილ მზეს შეხედა ისიდორე ჯაყელმა, თვალი არ მოუჭუტია, თითქოს უნდოდა ასე დიდი, ვეებერთელა, ოქროსფერი და თბილი ჩაყოლოდა საფლავში... მერე მგონი მამლის ყივილიც გაიგონა სხვის თუ საკუთარ ეზოში...“ მზე უკანასკნელი ჭირისუფალია მისთვის, მზისადმი ლოცულობს სასიკვდილოდ განწირული: „ისიდორე ჯაყელს მუხლზე დაცემა, მზისადმი ლოცვის თქმა და ტირილი მოუნდა“. ის ფაქტიურად იცვლის ღმერთს, სალოცავს. ვიტყოდით, რომ უბრუნდება საწყის რწმენას.

მამალი ქრისტიანული ტრადიციით სინათლისა და აღორძინებას განასახიერებს. ის სიბნელის, წყვდიადის საპირიპირო მოვლენას გამოხატავს. განთიადის მაუწყებელი იმავდროულად მზისა და სულიერი განახლების სიმბოლოცაა. მითოსური თვალსაზრისით, მამალი არა მარტო დაკავშირებულია მზესთან, არამედ მისი განსახიერებაცაა, ის არის ზეციური ცეცხლის – მზის – ზოომორფული ტრანსფორმაცია. მამალთანაა დაკავშირებული ასევე მკვდრეთით აღდგომა, სიცოცხლის უწყვეტობა, მუდმივად განახლება. ის ფაქტი, რომ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ისიდორეს მამლის – განთიადის მაუწყებლის – ყივილი ესმის, დიდ ცვლილებას მოასწავებს, ისიდორეს „ახალი ღმერთისადმი“ ეჭვი უჩნდება და ჭეშმარიტს უხმობს, ისევე როგორც მამალი განთიადს. მწერალი მამლის გამოჩენით გვამზადებს პერსონაჟის ცხოვრებაში, და იმავდროულად, მის ცნობიერებაში, მოსახდენი გარდატეხისათვის, მისი მკვდრეთით აღდგომისათვის, სულიერი აღორძნებისათვის.

ვერც მზის ამოსვლა, მამლის ყივილი და ვერც მუხლზე დაცემული ისიდორე შეაცვლევინებს მინაგო ჯაბუას გადაწყვეტილებას: „არა, ჩემო ისიდორე, ასე პარიზის კომუნარივით ლამაზად ვერ დაგხვრეტ, ამ ლამაზ ბუნებას ვერ ჩაგაყოლებ საფლავში. ნეხვსა და ნაგავში ამოგხდი სულს“.

რაც შეეხება ტექსტში ნახსენებ **პარიზის კომუნას,** მოგეხსენებათ, პარიზის რევოლუციური მმართველობა იყო, რომელმაც სულ რაღაც 72 დღე გასტანა. მარქსისტებმა ის პროლეტარიატის დიქტატურის პირველ მაგალითად გამოაცხადეს, რის გამოც საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოებრივი პროპაგანდის მნიშვნელოვან სიმბოლოდ იქცა. მინაგოს მიერ პარიზის კომუნის ირონიულ კონტექსტში ხსენება – „პარიზის კომუნარივით ლამაზად არ მოგკლავო (ისიდორეს)“ – ავტორისეულ მინიშნებას წარმოადგენს პარიზის კომუნის დიქტატის დღენაკლულობაზე.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მიუხედავად ჩადენილი მრავალი დანაშაულისა („მამულების ძარცვა–გლეჯისთვის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი სხვა უამრავი დანაშაულისათვის, გურიის აჯანყების რევოლუციური საბჭოს საველე სასამართლოს სახელით დახვრეტა მოგესაჯა“) მინაგოს

მიერ დაცხრილული ისიდორე ფეხზე დადგება. ეს მისი ხელმეორედ დაბადებაა. შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ მინაგომ ისიდორე ბოსელში, ბაგაზე დაცხრილა. ბაგა იესო ქრისტეს დაბადების ადგილია. რაც არ უნდა ბინძურ და ნეხვით აღსავსე ადგილად უნდა წარმოგვიჩინოს ავტორმა ბაგა, ის მაინც წმინდა ადგილად უნდა მივიჩნიოთ. ტექსტიცა და სიუჟეტის განვითარებაც ამასვე გვკარნახობს: ეს ის ადგილია, საიდანაც მზის (უფლის) დანახვა შეიძლება, სადაც მამლის ყივილი ისმის, ხოლო დაცხრილული ისიდორე, ფაქტიურად მკვდარი, ცოცხლდება, აღსდგება, რადგან მზისადმი ლოცულობს და აღარ ახსენებს „ახალ ღმერთს“; მზეს სთხოვს შველას და პატიებას და მამალიც ყივილით უდასტურებს.

ისიდორეს მკვდრეთით აღდგომა მაშინვე არ მომხდარა. 5 თვე ებრძოდა სიკვდილს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მზე და შავი ცა, ნათელი და ბნელი ებრძოდნენ ერთმანეთს ისიდორეს გამო და ეს ბრძოლა სიცოცხლის გამარჯვებით დასრულდა: „მეხუთე თვეზე გახია მზემ ნაბადივით შავი ცა“. ეს მითოლოგიური პასაჟია, როცა გმირმა გველეშაპი განკვეთა და სახეცვლილი დაუბრუნდა სამყაროს. ნეხვში ჩაწოლით, დამდაბლებით (იგივე თავზე მტვრისა და ნაცრის დაყრა), უფალს მინდობით, რაც სინანულის ერთგვარი გამოხატვაცაა, ხდება პერსონაჟის გარდასახვა „უცებ იგრძნო, რომ თბილი, მარილიანი ცრემლი დაეცა გულზე დამხობილ ვეებერთელა ლოდს, ლოდი შეირყა, შუაზე გადაიხსნა, მერე კიდევ შუაზე, მერე კიდევ და გალღვა და სადღაც მუცლის ღრუში ჩაიღვარა, გულმა ბუდე იპოვა, ჩაჯდა შიგ და თავისი გაუთავებელი საქმე დაიწყო“. ამიერიდან ისიდორე უფლის ხელისაა და მანაც მისცა მეორე შანსი, მეორე სიცოცხლე იმისათვის, რომ გამოასწოროს შეცდომები, გაუძლოს ტკივილებს (ცოლის, შვილის, რძლის ნაადრევი სიკვდილი), შვილიშვილი უნდა გაზარდოს კაცად.

გაბრიელ ჯაყელი

გაბრიელი მომდევნო თაობის წარმომადგენელია. მართალია ის ბევრად განსხვავდება მამისაგან: განათლებულია, ექიმი კაცი ადამიანების სამსახურში დგას, მისი სიკვდილიც კი მოვალეობის შესრულებისას დგება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის, მას მაინც აკლია მთავარი ადამიანური თვისებები, როგორიცაა სიკეთე, გულმოწყალება, სხვისი გასაჭირისა და სიკვდილის გათავისება და გულთან ახლოს მიტანა. ავტორი გაბრიელს ისე წარმოგვიდგენს, რომ მის ამ ნაკლოვანებებზე ღიად არ მიუთითებს, მხოლოდ იუმორშია გამჟღავნებული პერსონაჟის ხისტი ხასიათი. მისი აღზრდის მეთოდებიც მკაცრი და ხისტია. გაბრიელს არ სურს, რომ მისი შვილი გულსუსტი, ლმობიერი, სათუთი გაიზარდოს, არ სურს, რომ პანაშვიდებზე, ქელეხებზე, სასაფლაოზე იაროს, სხვისი ტკივილები გაიზიაროს. გაბრიელიც მამამისივით მოვალეობების კაცია, მტკიცე, გულადი, საქმის ერთგული. მართალია ომში მონაწილეობამ გარკვეულწილად შეცვალა მისი ხასიათი, ხედვა, მაგრამ ის მაინც ომის ეპოქის კაცია და უჭირს მშვიდობიან დროსთან ადაპტირება. რასაც ვერ ვიტყვით მანანაზე – მის მეუღლეზე, რომლის სიკეთე, სითბო, ადამიანურობა მთავარი გმირის – ავთოს მთელი ცხოვრების მანძილზე ასაზრდოებს, ხასიათს უყალიბებს, კაცად აქცევს. დედა ხშირად ეწინააღმდეგება მამას შვილის მიმართ გამოვლენილი ემოციით, მას არ სურს მისი შვილი „პირუტყვად“ გაიზარდოს:

„– გადარიე ბავშვი ხომ? – მოისმა საწოლი ოთახიდან მამაჩემის უკმაყოფილო ხმა. – რამდენჯერ გთხოვე, ნუ დაგყავს ბავშვი სასაფლაოებზე, პანაშვიდებსა და ქელეხებზე–მეთქი!

– აბა რა ვქნა, პირუტყვად გავზარდო?! – ჰკითხა დედამ“.

გაბრიელთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რომანიდან ის ეპიზოდები, რომლებშიც ომის ამბებია მოთხრობილი. თეთრ სამოსში გამოწყობილმა ქალმა დიდი დახმარება გაუწია გაბრიელს, სულიერად გაამხნევა, გადაარჩინა. მისი წყალობით შეიგნო, რომ შიში ადამიანის სისუსტე კი არა, ჩვეულებრივი თვისებაა, რომ კაცობა, ვაჟკაცობა ის არის, რომ გეშინია და მაინც აკეთებ იმას, რაც შენს მოვალეობად მიგაჩნია. პირუტყვობაა, როცა არ გეშინია. დაარწმუნა, რომ თითოეული ადამიანი ღვთის სახედ არის შექმნილი, ყველაშია სიკეთის მარცვალი.

გაბრიელი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიარა, ბრძოლა მოიგო, მაგრამ ცხოვრების მდინარებას მხარი ვერ აუბა. მართალია, ის შესანიშნავი სპეციალისტია, სანიმუშო ექიმი და საქმისადმი თავგადადებული პიროვნებაა, მაგრამ მისთვის ის ბობოქარი, ომის ქარცეცხლიანი დღეები არ დასრულებულა, ისევ საგანგებო რეჟიმში ცხოვრობს და ამავე მდგომარეობაში ამყოფებს ოჯახის წევრებსაც. მის სულში ისევ ტრიალებს ომში განცდილი შიში, შიში სიკვდილისა, ამიტომაც არ სურს, რომ მისმა შვილმა ამ საკითხზე ბევრი იფიქროს და იგივე განიცადოს და გადაიტანოს, რაც მან. მისი შიში, ისევე როგორც ისიდორესი, ბიოლოგიური უფროა, ამ ქვეყნიდან გაქრობის შიშია და არა ადამიანისა უფლისადმი. მიუხედავად ამისა, ისიდორესაც და გაბრიელსაც სამაგალითო სიმამაცე აქვთ, დასახული მიზნის, არჩეული იდეალისადმი თავგანწირული ბრძოლა შეუძლიათ. ეშინით, მაგრამ მაინც მიცურავენ დინების საწინააღმდეგოდ. ისიდორე მამაცურად ეგებება მინაგოს ნასროლ ტყვიება, გაბრიელი კი გამბედავად მიიწევს მტრის ბანაკისაკენ – უეჭველი სიკვდილისაკენ.

მიუხედავად ომში გადატანილი მრავალი განსაცდელისა, გაბრიელში ბოლომდე ვერ გაიღვიძა კეთილშობილებამ, ღვთიურობამ. მას ნაკლებად ადარდებდა ქურთი მეზობლების ოჯახური ტრაგედია, სარას სიკვდილი, აბოს ობლობა, საკუთარი ცოლ-შვილის გულწრფელი დარდი ამ მოვლენებთან დაკავშირებით.

ავთანდილ ჯაყელი

ავთანდილის (ჯაყოს) ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. ბავშვობაში თავსდატეხილმა ტრაგედიამ და ობლობამ მძიმე კვალი დააჩნია მის პიროვნებას, არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინა. ჯაყო მუდამ ძიებაშია. იმისათვის, რომ ფეხზე დადგეს, ნადაგის სიმყარე იგრძნოს, დამოუკიდებლად მოახერხოს გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროა წარსული კარგად გაიხსენოს, ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს მძიმე მოგონებებიდან, თორემ სხვაგვარად ცხოვრებას ვერ გააგრძელებს. წარსული, აწმყო და მომავალი ხომ ერთი უწყვეტი ჯაჭვია. ადამიანმა, რომელმაც არ იცის, როგორია მისი ფესვები, ვერც აწმყოში გააწყობს რაიმეს და ვერც მომავალს დაგეგმავს. წარსულის საფუძვლიანად გახსენებით შეძლებს ჯაყო დაიბრუნოს რწმენა, რომლის გაღვივება ბაბუა ისიდორეს, მიუხედავად მისი თავდადებული მზრუნველობისა, არ შეუძლია. აქ დედისეული მყარი და ღირებული პრინციპების აღდგენა და მათი ხელახალი განცდა-გააზრებაა საჭირო, იმ პრინციპებისა, ჯაყო კაცად რომ უნდა ჩამოაყალიბოს: საკეთე, სიყვარული, სიბრალული, თანაგრძნობა, მიტევება... ეს ის პრინციპებია, რომლებიც აგრერიგად აკლდა თავის დროზე ისიდორეს, არც გაბრიელს ეჭარბებოდა ხასიათში, სამაგიეროდ უხვად ჰქონდათ მანანას და ვანიჩკა ბიძიას. ამიტომაცაა, რომ ასე გამალებით ეძებს ჯაყო ბავშვობის მეგობარ აბოს და აბოც იმავე მიზეზით ეძებს ავთანდილს. მათი ბედი ერთმანეთს ჰგავს, ორივეს ბავშვობაში დაეღუპათ დედები, გამრუდდა მათი სიცოცხლის გზები, რადგან ცხოვრების ორიენტირი დაკარგეს და სწორ გეზს ვეღარ პოულობენ, განსაკუთრებით კი ავთო. თითქმის მთელი რომანი ამ ორიენტირის ძიებას ეთმობა. ავთოს, როგორც ისიდორეს შვილიშვილსა და გაბრიელის შვილს, უჭირს ცხოვრებაში სწორი გეზის მიგნება, ავისა და კარგის გარჩევა, ზომიერების დაცვა და წონასწორობის შენარჩუნება. მისი წინაპრების ცხოვრებისეული მაგალითები და გამოცდილება ვერ გამოადგება ავთოს თავის თანამედროვე ეპოქაში. რამდენიმე ათეულმა წელმა რადიკალური ცვლილებები შეიტანა საზოგადოებაში; შეიცვალა იდეალები, მისწრაფებები, ხალხის აზროვნება. ავთო ხვდება, რომ ბაბუისა და მამის თვისებებიდან მხოლოდ რამდენიმეს აღება და ხასიათის საფუძვლად დადებაა შესაძლებელი. მისთვის უფრო დედის შეგონებებია მისაღები და მისივე ხანმოკლე ცხოვრებაა სამაგალითო. თუმცა, დროთა განმავლობაში, იმასაც ხვდება, რომ საკმარისი არაა სხვა, თუნდაც ახლობელი ადამიანების (ბაბუის, მამის, დედის, ვანიჩკა ბიძიას) ცხოვრების გააზრება და გათვალისწინება, საჭიროა საკუთარი ცხოვრება თავად გამოსჭედო, შენსავე შეცდომებზე ისწავლო და საკუთარი მიზნები დაისახო. იმისათვის, რომ საკუთარი თვალებით

დაინახოს რეალური სამყარო, უშუალოდ გამოსცადოს ტკივილი თუ სიხარული, თავად მიიღოს მნიშ-ნელოვანი გადაწყვეტილებები ავტორი მთავარ გმირს სამხედრო სამსახურში „აგზავნის“, რითაც დიდ გამოცდას უწყობს, გარკვეულწილად აჩქარებს მის კაცად, პიროვნებად ჩამოყალიბებას.

აბო ჯაყოს ბავშვობის ნაწილია და მის გარეშე წარსული მნიშვნელობას კარგავს. დედა და აბო მის გონებაში გამთლიანებულია, ამიტომ თუ აბოს იპოვნის, ასე ჰგონია, რომ დედაც გაცოცხლდება მის გონებაში. სწორედ აბოს მიმართ დამოკიდებულებაში გამჟღავნდა ავთოს დედის ჭეშმარიტი ბუნება. მოგვიანებით, აბოსთან შეხვედრამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჯაყოს ცხოვრებაში, მის ხასიათში. ის დამშვიდდა, დალაგდა და გააგრძელა ცხოვრება, მთავარი ადამიანური ღირსებების, ცხოვრებისეული ღირებულებების ძიება. ჯარი მისი ამ ძიების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ავთოს უფროსმა თაობამ დიდი ომი გადაიტანა. ეს სულ სხვა – გაბრიელის თაობა იყო, როცა საბჭოთა იდეოლოგიით ტვინმოწამლული ახალგზრდები მოხალისედ გარბოდნენ ომში, ეგონათ, რომ საკუთარ მიწა-წყალს იცავდნენ. მათი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ სხვა იყო, ცნება „სამშობლოც“ განსხვავებულად აღიქმებოდა. მათი თავგანწირვა ავთოს თაობას არ გადასდებია. თუ გავითვალისწინებთ ვანიჩკა ბიძიას ნათქვამს: ჯარი, ციხე, მთა – ადამიანის გამოსაცდელი ადგი-ლებია ღვთის მიერ მოგონებული, „თუ ჯარში გაფუჭდი – სიკვდილია, თუ ჯარში ძმაკაცს უღალატე - სიკვდილია, თუ ძმაკაცმა გიღალატა – სიკვდილია“. ვანიჩკასივე აზრით, ვინც ამ დიდი გამოცდის ჩაბარებისას იღუპება, წმინდანია, მათი განვლილი გზა ქრისტეს გზას ჰგავს: „მერე ავდექი, შევხედე ჩემს დახოცილ მეგობრებს, შევხედე ბუხუტი ავალიანს... იგი გულაღმა ეგდო, ჯვრიდან ჩამოხსნილ იესო ქრისტეს ჰგავდა...“

ავთოს თაობა მშვიდობიან დროში ცხოვრობს. მართალია, ქვეყნის პოლიტიკა ისეთია, რომ მო-სახლეობას გამუდმებით ახსენებს ომს და მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისაგან მოსა-ლოდნელ თავდასხმაზეც ხშირად საუბრობენ, თავდაცვის საშუალებებზე მუდმივი ზრუნვაც ხორ-ციელდება, მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხი გამუდმებულ შიშსა და უბედურების მოლოდინშია, მაგრამ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ცდილობს, რომ ჯარს თავი აარიდოს. ალბათ ის მწარე გამოც-დილებაც გასათვალისწინებელია, რომ ომსა და საკოცენტრაციო ბანაკს გამოვლილ წამებულებს დაუზოგავად ერეკებოდნენ ციმბირისაკენ, რითაც ახალ განსაცდელში ყრიდნენ მათ. ავთოს თაობა აღარ იყო ისეთი გულანთებული საბჭოთა სამშობლოს მიმართ და არც ძველებურ პასუხისმგებლო-ბას გრძნობდა. ავთო კი მიდის ჯარში, რათა მიიღოს ცხოვრებისეული გამოცდილება.

ავტორი თავის გმირს გვიჩვენებს სხვადასხვა სიტუაციაში, განსხვავებულ საზოგადოებებში, მრავალფეროვან სიტუაციებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავთოს დამოკიდებულება ქალა-ქელ ნაცნობებთან, თანატოლებთან, იგივე დადუნას სამეგობრო წრესთან, ჯარის საზოგადოებას-თან, მწერალთან, ვანიჩკა ბიძიასთან, საზღვართან მცხოვრებ ადამიანებთან. თითეულ ადამიან-თან, საზოგადოებასა თუ წრესთან დამოკიდებულება თავის კვალს ტოვებს ავთოს ხასიათზე, პიროვნებაზე, გამოცდილებასაც სძენს, თუმცა ერთგვარად ზრდის მის სულში არსებულ პიროვნულ გაორებას, გაორჭოფებას. მისი ხასიათისათვის ნიშანდობლივია ორი უკიდურესი პოლუსის არსებო-ბა, მისთვის ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან – კარგებად და ცუდებად, მართლებად და მატ-ყუარებად. მისთვის შუალედური ფორმები არ არსებობს. მისი ამგვარი რადიკალურობა, ბუნებრი-ვია, ხშირად ხდება კონფლიქტის მიზეზი. ყოველივე ამას ემატება მისი ახალგაზრდული ასაკიც, რის გამოც ჯაყოს თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. მისი ეს სიხისტე და „პირშიმთქმელობა“, რომანში აღწერილი კონფლიქტური სიტუაციები, კარგად წარმოაჩენს ავთოს თანადროული საზოგადოების სიჭრელეს, რაც ასევე მიუღებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის. ავთოც, ინერციით, ამ იდეო-ლოგიით ხელმძღვანელობს, მისი საზომით უდგება საქმეს და სურს, რომ ყველა ერნაირად აზროვ-ნებდეს, ერთ თარგზე იყოს აჭრილი, რაც შეუძლებელია, რადგან ცხოვრება წინ მიდის, საზოგადოება იცვლება და ერთი საზომით ყველას ვერ გაზომავ, ყველასთან ვერ იქნები მართალი.

ვანიჩკა ბიძიას რომანში კატალიზატორის როლი აქვს მიკუთვნებული. ავთოსათვის არა მარტო ვანიჩკას განვლილი ცხოვრებაა სამაგალითო, არამედ მისი ყოველდღიური ყოფა, მსოფლმხედველობა. სწორედ მისგან სწავლობს ავთო, რომ სხვა ადამიანებსაც უნდა მოუსმინოს, გაუგოს, მიუტეოს, დაინდოს, შეეგუოს, რომ ყველას თავისი შეხედულებები და ცხოვრების წესი აქვს:

„რატომ გგონია, რომ შენ კარგი კაცი ხარ და ისინი ცუდები, შენ იცი, კარგი კაცი რა არის? ან ვინ არის? – მკითხა ვანიჩკა ბიძიამ და ხელით მანიშნა, სვლა გააკეთეო.

მეც წავწიე პაიკი უაზროდ.

– ეგ ცუდი სვლაა! – გამაფრთხილა ვანიჩკა ბიძიამ.

– ვიცი, მაგრამ სხვა სვლას ვერ ვხედავ!

– ეგ არის უბედურება, რომ სხვა სვლას ვერ ხედავ! – თქვა მან“.

რომანის ბოლოს ავთოც რწმუნდება ვანიჩკა ბიძიას შეფასების სისწორეში, რომ ის ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული პიროვნება, ამიტომ ნაკლებად აქვს სხვების განსჯის უფლება. ის „საკარგკაცედ გამზადებული ცომია“ მხოლოდ, რომელმაც ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გამოსცადოს, რომ ჩაწვდეს ცხოვრების რთულ ხლართებს.

ამ პრობლემის გასარკვევად მნიშვნელოვანია ავთოს დიალოგი ჩვენებაში დედის სახით მოვლენილ ქალთან, სადაც ის ავლენს თავის სამომავლო მისწრაფებებს, სურვილებს, ცხოვრებისეულ ორიენტირს, რომლის მიხედვითაც უნდა ცხოვრება. აშკარაა, რომ მან მისი ასაკისთვის შესაფერისი დასკვნები გამოიტანა, გარკვეული სასარგებლო გამოცდილებაც შეიძინა და ღირსეულ პიროვნებად იწყებს ჩამოყალიბებას. საშიშროებამ გადაიარა, ერთ დროს გზიდან გადახვეული საზოგადოება, რომლის წევრიც ავთოა, უბრუნდება სწორ გზას, იბრუნებს თავის ნამდვილ სახეს და განაგრძობს განვითარებას. როგორც ებრაელმა ერმა 40 წელი იხეტიალა უდაბნოში და მხოლოდ ცოდვებისგან განწმენდილი თაობა შევიდა აღთქმულ მიწაზე, ისე დაემართა საბჭოთა იდეოლოგიით ტვინმოწამლულ საზოგადოებას. მხოლოდ მესამე თაობაში მოხდა ძირეული ადამიანური ცვლილებები, ისიდორესა და გაბრიელის თაობებმა უმიზნოდ იხეტიალეს ცხოვრების უდაბნოში. ავთოს თაობაში კი დევს ის ღირსებები, რომელთა წყალობით ის მიაღწევს თავის „აღქმულ ქვეყანას“.

ავთო შეიძლება რაღაცით ჰგავს ბაბუას, მაგრამ საერთო ჯამში ის ისიდორეს საქმეების გამგრძელებელი ვერ იქნება. ის პირიქით, მოვალეა, ისიდორეს დაშვებული მკრეხელური შეცდომები გამოასწოროს.

დედის აჩრდილი, როგორც ცოცხალი ცოცხალს, - ისე ესაუბრება სასაზღვრო ზონიდან დემობილიზებულ შვილს - ავთანდილ ჯაყელს:

„-კიდევ დიდხანს გაგიჭირდება, შვილო, ჯერ პატარა ხარ.

- რაღა პატარა ვარ, დედა, ოცი წლის ვხდები.

- ოცი წელი ბევრი არ არის შვილო.

- არც ცოტაა.

- არც ცოტაა... მაგრამ იმდენი არ არის, რომ არ გიჭირდეს. კარგია, რომ გიჭირს.

- კარგია?

- კარგია, შვილო!

- მე ჯერ არ ვიცი, რა უნდა გამოვიდე, მე ჯერ მხოლოდ მინდა!

- რა გინდა შვილო... ის მითხარი!

- მე მინდა, დედა... მე მინდა, - ბაბუასავით ვაჟკაცი ვიყო...

- ცოტაა, შვილო!

- მე მინდა, მამაჩემივით გულწრფელი და ალალი ვიყო...

- ცოტაა...

- ვანიჩკა ბიძიასავით პატიოსანი ვიყო...

- მერაბიასავით სიყვარული ვიცოდე, მინდა...

- ალი ხორავასავით ჭკვიანი მინდა ვიყო...

- შენსავით სათნო ვიყო მინდა, დედა“ (დუმბაძე 2011: 295).

ამ ნაწყვეტით ჩანს ცხოვრების გზის დასაწყისში მდგარი ჯაყელის ადამიანური პრინციპების ჩამონათვალი. სადაც გარკვეულწილად მისი სამომავლო არსებობის პერსპექტივაც ისახება.

„ნუ გეშინია, დედა“ – ამ სიტყვებით არა მარტო ავთო მიმართავს დედის სახებას, არამედ ავტორი ანუგეშებს უფალს – ქვეყნისა და კაცობრიობის გამჩენს, რომ მან, ისევე როგორც რომანის გმირმა – მწერალმა მდინარაძემ – თავისი ცხოვრებისეული დაკვირვების საფუძველზე დაასკვნა, რომ დამთავრდა წყვდიადის ჟამი, დადგა სინათლის, მზის, უფლის სუფევის ხანა, რომ ქვეყანაში იზრდება და ყალიბდება ღირსეული თაობა, დგება განთიადი, რომლის მოსვლაც რამდენიმე ათეული წლის წინ მამალმა თავისი ყივილით იწინასწარმეტყველა. სწორედ ეს გახლავთ ტექსტის მთავარი სათქმელი და არა საბჭოთა ჯარისა და საზღვრის შიგნით მომწყვდეული „ბედნიერი“ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ჩვენება. ამგვარად წარმოჩინდა რომანში სათაურის სემანტიკა, ჩვენი აზრით, სწორედ ეს გახლავთ მასში კოდირებული ავტორის სათქმელი.

დასკვნა. ჯაყელების ისტორიის მოთხრობით ნ. დუმბაძემ აჩვენა საზოგადოების განვითარების გზა საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ. ის ფაქტი, რომ ფრაზა - „ნუ გეშინია დედა“ – გარდა სათაურისა, რომანის ეპილოგადაც გვევლინება, ამით ავტორი გვეუბნება, რომ მესამე თაობა – ავთანდილ ჯაყელის თაობა – ღირსეულია, რომ საზოგადოებამ სულიერი განვითარების ასპექტში პროგრესი განიცადა.

დასკვნის სახით შეიძლება იქვას, რომ სათაურს ძლიერი პოზიცია უჭირავს, ის მხატვრული ტექსტის მაორგანიზებელი ცენტრია, მისი კომპოზიციული დომინანტია. მხატვრული ტექსტის სიღრმე ვლინდება ძირითად ტექსტსა და სათაურს შორის არსებული ურთიერთმიმართებით, რადგან მხატვრული ტექსტის სემანტიკური ღერძი სწორედ სათაურის გავლენით ყალიბდება. ამდენად დასათაურება, სათაურის შერჩევის საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი და ფაქტიურად გადამწყვეტია ნაწარმოების სემანტიკური სტრუქტურის ორიენტაციისას. ავტორი სათაურში მთავარ სათქმელს სიმბოლოებითა და მეტაფორებით გადმოსცემს, რაც უზრუნველყოფს ავტორის იდეისა და განწყობილების ჩვენებას, გვთავაზობს ავტორის კონცეპტს, ამგვარად, იგი იტევს უფრო ღრმა აზრობრივ მოცულობას და ლაკონურადაც არის წარმოდგენილი.

რომანის სათაურის დეკოდირებამ აჩვენა, როგორ მუშაობდა ავტორი ტექსტზე, განსაზღვრა მწერლისეული სტილის ორიგინალობის ხარისხი. ტექსტის სიღრმისეული გააზრების შემდეგ გახდა ცნობილი, როგორ შეივსო სათაური კონცეპტუალური მნიშვნელობით. „ნუ გეშინია, დედა“ – რომანის ბოლოს ამ სიტყვებით არა მარტო ავთანდილ ჯაყელი მიმართავს დედის სახებას, არამედ ავტორი გვანუგეშებს, რომ დამთავრდა წყვდიადის ჟამი, დადგა სინათლის, მზის, უფლის სუფევის ხანა, რომ ქვეყანაში იზრდება და ყალიბდება ღირსეული თაობა, დგება განთიადი. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გახლდათ რომანის სათაურში კოდირებული ავტორის მთავარი სათქმელი.

გამოყენებული ლიტერატურა

აბზიანიძე, ზ. ელაშვილი, ქ. (2006) *„სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“,* I. თბილისი: გამომც. „ბაკმი“

ბიბლია, (1995), თბილისი: საქართველოს საპატრიარქო

გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი მ. (2008) *“ ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“,* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“

დუმბაძე, ნ. (2011) თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“

რატიანი, ი. (2016) *„ქართული მწერლობა კულტურული იზოლაციის წინააღმდეგ“.* წიგნიდან *„ქართული ლიტერატურა“,* მეორე ტომი, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რობაქიძე, გრ. (1991) *„ჩაკლული სული“.* თბილისი: „ივერია“

ტალიაშვილი, თ. (2012) *„სათაურის ფუნქცია“,* სტატუსი, ინტერპრეტაცია, 21/04/2012, https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21